სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს 2022 წლის ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ დებულებების შესრულების თაობაზე

1. 2022 წლის საანგარიშო პერიოდში, რომელიც მოიცავს 2021 წლის 10 დეკემბრიდან 2022 წლის 9 დეკემბრამდე პერიოდს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) რეგისტრირებულია სულ 20 განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით სააგენტოსთვის მომართვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნა დაკმაყოფილდა 18 შემთხვევაში. თითოეულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ სააგენტო არ არის კოლეგიური საჯარო დაწესებულება, სხდომის დახურვის პირობებში გადაწყვეტილების მიღების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია;

3. პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გაცემისას, სააგენტო ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევა არ ყოფილა.

5. საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები, სააგენტოს არ ჰქონია.